ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

ხელშეკრულების მე-7 მუხლს დაემატოს 7.9 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7.9 კლიენტი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ბანკის ვებგვერდზე http://www.tbcbank.ge/web/en/web/guest/privacy-policy-geo განთავსებული „კონფიდენციალურობის პოლიტიკა“, რომელიც მოიცავს პირის პერსონალურ მონაცემებთან / კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საკითხებს.

შეიცვალოს ხელშეკრულების 9.1.1.4 - 9.1.1.6. ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9.1.1.4. სხვადასხვა საბანკო პროდუქტის, მათ შორის საკრედიტო პროდუქტის (როგორც ახალის, ასევე არსებულის შემთხვევაში მისი ნებისმიერი ნაწილის (ტრანშის)) მიღების / საბანკო (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) გარიგებ(ებ)ის დადების სურვილის დაფიქსირებას (ბანკისთვის განაცხადის წარდგენას).

9.1.1.5. რეგისტრირებულ მომსახურებაში/პროდუქტში (მათ შორის საკრედიტო პროდუქტში) ცვლილებების შეტანის ან/და გაუქმების / სააბანკო (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებულ) გარიგებაში/ებში ცვლილებების შეტანის ან/და საბანკო (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) გარიგებ(ებ)ის შეწყვეტის მოთხოვნის დაფიქსირებას;

9.1.1.6. ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიღებას და სურვილისამებრ, შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას) / საბანკო (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) გარიგებ(ებ)ის დადებას.

შეიცვალოს ხელშეკრულების 9.1.2 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9.1.2. ინტერნეტ-ბანკის საშუალებით კლიენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია ან/და ქმედება (მათ შორის საკრედიტო პროდუქტის, როგორც ახალის, ასევე არსებულის შემთხვევაში მისი ნებისმიერი ნაწილის (ტრანშის) მიღება, დადასტურება), საბანკო (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) გარიგებ(ებ)ის დადება) ამ ხელშეკრულებაში მოცემული და ოპერაციის/ქმედების განხორციელების დროისთვის ბანკის მიერ დადგენილი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.

შეიცვალოს ხელშეკრულების 9.1.5 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9.1.5. ინტერნეტ-ბანკის საშუალებით საბანკო, მათ შორის საკრედიტო პროდუქტის (როგორც ახალის, ასევე არსებულის შემთხვევაში მისი ნებისმიერი ნაწილის (ტრანშის)) მისაღებად (დასადასტურებლად) / საბანკო (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) გარიგებ(ებ)ის დასადებად (გასაფორმებლად), ბანკი უფლებამოსილია საკუთარი

შეხედულებისამებრ, დააწესოს რიგი მექანიზმები (მოთხოვნები/წესები), მათ შორის კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ მოახდენს შეთავაზებული საბანკო, მათ შორის საკრედიტო პროდუქტის (როგორც ახალის, ასევე არსებულის შემთხვევაში მისი ნებისმიერი ნაწილის (ტრანშის)) მიღებას (დადასტურებას) / საბანკო (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) გარიგებ(ებ)ის დადებას.

შეიცვალოს ხელშეკრულების 9.2.10 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9.2.10. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ინტერნეტ-ბანკის საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილ ნებისმიერ შეტყობინებას/დავალებას (მათ შორის საგადახდო დავალებას), ნებისმიერ განაცხადს/მოთხოვნას/დასტურს (მათ შორის ანგარიშის გახსნის/დახურვის ან/და კრედიტის წინსწრებით დაფარვის, რეგისტრირებული მომსახურების/პროდუქტების (მათ შორის საკრედიტო პროდუქტების) გაუქმების ან/და მათში ცვლილების შეტანის, ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო, მათ შორის საკრედიტო პროდუქტის (როგორც ახალის, ასევე არსებულის შემთხვევაში მისი ნებისმიერი ნაწილის (ტრანშის)) მიღების (დადასტურების), კლიენტის მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ და სხვა ნებისმიერ განაცხადს/მოთხოვნას/დასტურს), ბანკსა და კლიენტს შორის ინტერნეტბანკის საშუალებით გაფორმებულ / დადასტურებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებულ ნებისმიერ გარიგებას) აქვს ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული), ქაღალდზე დაბეჭდილი და ხელმოწერილი საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

ხელშეკრულების მე-9 მუხლს დაემატოს 9.2.12 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9.2.12. კლიენტი ვალდებულია, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს ინტერნეტბანკის მეშვეობით გაფორმებული / დადასტურებული გარიგების (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გარიგების) ბანკისთვის მისაღები ფორმით/საშუალებით მიწოდება, მატერიალური/ხელმოწერილი სახით.

შეიცვალოს ხელშეკრულების 9.8. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9.8. წინამდებარე ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ინტერნეტბანკის მეშვეობით დაფიქსირებული მისი ნებისმიერი მოთხოვნა (დავალება) საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში (მათ შორის საკონტაქტო მონაცემებში) ცვლილებების შეტანის ან ოპერაციის განხორციელების შესახებ, ისევე, როგორც ინტერნეტბანკის საშუალებით გაფორმებული ნებისმიერი გარიგება და/ან გარიგების გაფორმების მიზნებისთვის განხორციელებული ნებისმიერი სახის კომუნიკაცია/ქმედება დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). მხარეთა შეთანხმებით ასეთი ჩანაწერები/ინფორმაცია მიიჩნევა ბანკის საკუთრებად.

შეიცვალოს ხელშეკრულების 21-ე მუხლის 21.1.1.4; 21.1.5 - 21.1.6; 21.3.2.; 21.3.3 ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

21.1.1.4. ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებებული სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიღებას და სურვილისამებრ, შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას) / საბანკო (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) გარიგებ(ებ)ის დადასტურებას/დადებას.

21.1.5 მობილური ბანკის საშუალებით კლიენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია ან/და ქმედება (მათ შორის საკრედიტო პროდუქტის მიღება (დადასტურება) საბანკო (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) გარიგებ(ებ)ის დადება), ამ ხელშეკრულებაში მოცემული და ოპერაციის/ქმედების განხორციელების დროისთვის, ბანკის მიერ დადგენილი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.

21.1.6 მობილური ბანკის საშუალებით საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მისაღებად (დასადასტურებლად)/ საბანკო (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) გარიგებ(ებ)ის დასადებად (გასაფორმებლად) ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, დააწესოს რიგი მექანიზმები (მოთხოვნები/წესები), რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ მოახდენს შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას) / საბანკო (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) გარიგებ(ებ)ის დადებას.

21.3.2 ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მობილური ბანკის მეშვეობით დაფიქსირებული მისი ნებისმიერი მოთხოვნა (დავალება) საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში (მათ შორის საკონტაქტო მონაცემებში) ცვლილებების შეტანის ან ოპერაციის განხორციელების შესახებ, ისევე როგორც, მობილური ბანკის საშუალებით გაფორმებული ნებისმიერი გარიგება და/ან გარიგების გაფორმების მიზნებისთვის განხორციელებული ნებისმიერი სახის კომუნიკაცია/ქმედება, დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). მხარეთა შეთანხმებით ასეთი ჩანაწერები/ინფორმაცია მიიჩნევა ბანკის საკუთრებად.

21.3.3. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ მობილური ბანკის საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილ ნებისმიერ შეტყობინებას/დავალებას (მათ შორის საგადახდო დავალებას), ნებისმიერ განაცხადს/მოთხოვნას/დასტურს (მათ შორის ანგარიშის გახსნის/დახურვის ან/და კრედიტის წინსწრებით დაფარვის, რეგისტრირებული მომსახურების/პროდუქტების გაუქმების ან/და მათში ცვლილებების შეტანის, ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პრუდუქტის მიღების (დადასტურების), კლიენტის მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ და სხვა ნებისმიერ განაცხადს/მოთხოვნას/დასტურს) ბანკსა და კლიენტს შორის მობილური ბანკის საშუალებით გაფორმებულ/დადასტურებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებულ ნებისმიერ გარიგებას), აქვს ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული), ქაღალდზე დაბეჭდილი და ხელმოწერილი საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

ხელშეკრულების 21-ე მუხლს დაემატოს 21.3.6 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

21.3.6. კლიენტი ვალდებულია, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს მობილური ბანკის მეშვეობით გაფორმებული / დადასტურებული გარიგების (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან

დაკავშირებული გარიგების) ბანკისთვის მისაღები ფორმით/საშუალებით მიწოდება, მატერიალური/ხელმოწერილი სახით.